



აუცილებელი არ არის.

4. ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს განაშენიანების რეგულირების გეგმის პარამეტრების შესაბამისად შეიმუშაოს და ადმინისტრატორს წარუდგინოს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია ნებართვის ერთ ეტაპად მისაღებად. ადმინისტრაციული წარმოება ამ შემთხვევაში იმართება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

5. ნებართვის მისაღებად ადმინისტრატორისათვის დოკუ-მენტაციის წარდგენამდე ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს გაიაროს კონსულტაციები ადმინისტრატორთან და ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, აგრეთვე მიიღოს შეთანხმებები იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ შეთანხმებას ნებართვის მიღებამდე.

6. ნებართვის მისაღებად დოკუმენტები ადმინისტრატორს წარედგინება კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და შე-მადგენლობით.

7. ადმინისტრატორი საპროექტო დოკუმენტაციას უზღავნის დაინტერესებულ სამთავრობო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შესათანხმებლად, რომლებიც ადმინისტრაცი-ულ წარმოებაში ებმებიან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსით, საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრატორი აგრძე-ლებს ადმინისტრაციული წარმოების ვადას დადგენილი წესის შესაბამისად.

8. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელი ქალაქთმშენებლობითი ან სხვა რაიმე პირობებს თავად არ/ვერ მოიპოვებს, უნდა მიმართოს ადმინისტრატორს ქალაქთმშენებლობითი პირობების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში ნებართვის გაცემის პროცედურა იმართება “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N140 დადგენილებით განსაზღვრული სამივე სტადიით.

9. მშენებლობის განმახორციელებელსა და ნებართვის გამცემ ორგანოზე ვრცელდება “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N140 დადგენილების მე-17\_21-ე მუხლების მოქმედება.